# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 88 პარასკევი, 23 აპრილი 1910 წ. № 88

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრად ნამყოფი

## დეკანოზი იოანე იოსების ძე მრევლიშვილი

გარდაიცვალა, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმის წულები და დისწულები. დასაფლავება მოხდება 23 აპრილს საგვარეულო სასაფლაოზე მცხეთის ტაძრის გალავანში. (2—258—1)

19 აპრილს, საღამოს 7 საათზე, მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დეკანოზის ქვრივი

## ნინო პეტრეს ასული არდაზიანისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები განსვენებულისა: **ანნა, სოფიო, ნატალია მესხისა, გიორგი და ზაქარია,** აგრეთვე და განსვენებულისა **დარია თავზარაშვილისა.** პანაშვიდი ყოველ დღე დილის 1 საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება შაბათს, 24 აპრილს, დილის 10 საათზედ, საკუთარ სახლიდან (1 საპიორნის ტუპიკი, № 4) სამების ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. (1—261—1)

ქვრივი **მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 აპრილს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მეუღლის

## დავით ბესარიონის ძის ლოლობერიძის

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვისა დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ, განსვენებულის საფლავზე. (1—252—1)

## ქართული თეატრი

შაბათს, 24 აპრილს **ვასო აბაშიძის საბენეფისოდ**

წარმოდგენილი იქნება

## „გაკოტრებული აზნაური"

კომედია 4 მოქმ. თარგმანი ვ. ა. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** **დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

რეჟისორი **ვ. აბაშიძე**

**კვირას, 25 აპრილს, ნინო ჩხეიძის მონაწილეობით**

## „სტუდენტის სიყვარული"

(დღენი ჩვენის ცხოვრებისა)

პიესა 4 მოქმედ. ანდრეევისა, იმედაშვილის თარ.

**ადგილების ფასი დაკლებულია.** **დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

**კვირას, მაისის 2-სა მუშტაიდის ბაღში**

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სეირნობა და ლატარია-ალეგრი

**განყოფილება პირველი:**

შუადღის 11 საათიდან 3 საათამდის

## საბავშვო დღესასწაული

მუსიკა. თამაშობა. გაჯიბრება საჩუქრებით

საღამოს 5 საათიდან 11 საათამდის

**განყოფილება მეორე:**

1. გიმნასტიური ვარჯიშობა „სოკოლის" (შევარდენის) საზოგადოების წევრებისა.
2. კონცერტი ქართულ ხოროსი ბ-ნ ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

**განყოფილება მესამე:**

ლატარია-ალეგრი (ცალკე პავილიონში). ლატარიაში ჩაგდებული იქნება 800 ნივთი. ცხენი, ძროხა, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ფასი ლატარიის ბილეთისა 20 კ. პავილიონში შესვლა 1 მან.

**განყოფილება მეოთხე:**

**ჭინჭილა შუშხუნები**

ბაღში შესვლა ღირს ბავშვებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კ.

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

— **ბუფეტი; ჩაი, ყვავილები, სერპანტინი.** — (8—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დ ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირაძოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—159)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—108

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—324)

**პარასკევს, 23 აპრილს,**

**ნამესტნიკის სასახლის ბაღში,**

ტფ. წმ. ნინოს სასწავლებლის

## სასარგებლოდ დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით.

**ლატარიაში ჩაგდებული იქნება 3000 მდე ნივთი.**

სხვათა შორის: ვერცხლის ნივთები, სამოვრები, ჩაის სერვიზი, ორი ხარი, ვირები, ცხვრები, ბატები და სხ. დაუკრავს ორი სამხედრო მუსიკა, მეზურნეების ორი დასტა, საზანდარი, იმღერებს კონვოის ხორო, იქნება შესანიშნავი მკითხავი თამარი.

**ბავშვებისათვის: ბედის კვერი და „პეტრუშკა".**

დუქანი ძალიან იაფ ფასებით.

საღამოთი ბაღი გაჩირაღდნებული იქნება. **სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 1 საათზე. შესვლის ფასი 20 კ.** (1—6.—1)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—33.—24)

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ბაბ. ი. გოკიელოვი**

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—33.—53)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—417)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—33.—26

**ექიმი ვასილ წერეთელი**

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—166)

**ექიმი შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზბეგოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—76)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—47

## ■ პიესები ■

იყიდება წერა-კითხვის გამავრც. საზ. მაღაზიაში

**„მამა და შვილი".**

**„კოცნა პირველი და უკანასკნელი".**

**„მეფე ფერხთა".**

**„ცოდვა".**

**„ჩვენებური ადუკანტი".**

**„წუწურვილი".** (3—1)

**ექიმი** ბავშვებისა ქუთაისში **ბადრიძე**

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—6.—1

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## „ჭეჭილის" რედაქცია

სთხოვს იმათ, ვისაც არ დაუბრუნებია

## ეგ. ნინოშვილის ძეგლისათვის

ფულის შესაგროვებელი

საკვიტანციო

## წიგნაკები

დააბრუნონ აუცილებლად არა უგვიანეს 5 მაისისა (3—3)


## ტფილისი, 22 აპრილი

დიდ-მნიშვნელოვანი დეპეშები მოვიდა ამ ორ დღეში ჰელსინგფორსიდან: ლონდონიდან იქ ცნობა მიუღიათ, რომ ბელგიის პარლამენტის წევრთ მედგარის პროტესტით მიუმართავთ სახ. სათათბიროსათვის ფინლიანდიის საქმეების გამო. ამგვარივე პროტესტები მზადდება თურმე საფრანგეთსა და გერმანიაში. ინგლისის ქვედა პალატაც ამზადებს მემორანდუმს სათათბიროში გამოსაგზავნად.

როგორც მკითხველებმა იციან, დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრის აღელვება გამოიწვია იმ საქმემ, რომელსაც ამ ჟამად უმზადებს რუსეთის მთავრობა ფინლიანდიას და რომელიც ძირს უთხრის ფინლიანდიის ავტონომიას. ამ ნაბიჯის გადადგმა შარშანვე ამცნო ქვეყანას მინისტრ-პრეზიდენტმა სტოლიპინმა თავის ცნობილ პასუხში მემარჯვენეთა შეკითხვაზე, როცა „განმარტა" საკითხი რუსეთ-ფინლიანდიის ურთიერთობის შესახებ. ამ სიტყვას მალე მოჰყვა განსაკუთრებულ კომისიის დანიშვნა რუს და ფინლიანდიის სახელმწიფო მოღვაწეთაგან, რომელსაც უნდა განეხილა და შეემუშავებინა პროექტი ხსენებულ ურთი-ერთობის შესახებ. რასაკვირველია, ფინლიანდიელნი იმ კომისიაში მხოლოდ ფორმისთვის იყვნენ მიწვეულნი და მათი ხმა დარჩა ხმად, მღაღადებელად უდაბნოსა შინა. საქმე გადასწყვიტეს რუსმა მოხელეებმა, რომელთაგან ერთმა—ხარიტონოვმა—დაამზადა კანონ-პროექტი იმის შესახებ, თუ როგორი მსვლელობა უნდა ჰქონდეს რუსეთისა და ფინლიანდიისათვის საერთო კანონებს.

ამ კანონ-პროექტის ძალით, მთელი წყება სახელმწიფო საქმეებისა გამოყოფილ იქმნა ფინლიანდიის სეიმის კომპეტენციიდან და გადაეცა სახელ. სათათბიროს, რომელშიაც უნდა იყოს ფინლიანდიის წარმომადგენლობაც. როგორც ჰხედავთ, კანონ-პროექტი რადიკალურად სცვლის ფინლიანდიის წეს-წყობილებას, უკუღმა ატრიალებს იმის კონსტიტუციას და იმის შინაურ ცხოვრებას, მტკიცედ განსაზღვრულს ჯერ 1809 წლის კანონებით და მერე ამ რამდენიმე წლის წინად განმეორებულ აქტებით. ესეც არ იკმარეს და კანონ-პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინეს სახ. სათათბიროსა და საბჭოს, ხოლო სეიმს რჩევის ხმის უფლებით გადასცეს კანონ-პროექტი და იმის შესახებ მხოლოდ აზრს ეკითხებიან.

რუსეთში რეაქციის გამეფებას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ფინლიანდიის შევიწროვება. ასე მოხდა 1907 წელსაც. აქედან დაწყებული დღემდე ფინლიანდიას მოსვენება აღარ აქვს: გენ.-გუბერნატორების ხშირი გამოცვლა, სენატორების წამ-და-უწუმ გადაყენება, სეიმების დათხოვნა და მრავალი წვრიმალი შევიწროვება თავს დაატყდა ბოლო წლებში ფინლიანდიას და შეაჩერა ქვეყნის ნორმალური ცხოვრება. მაგრამ თუ აქამდე მივიდოდა რეაქცია, თუ ასე მოიწადინებდა ძირითად კანონების გასრესას, ეს ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა. თვით ფინლიანდიელთაც არა სჯეროდათ შავრაზმელების მუქარა და წინასწარმეტყველობა. რუსეთს უიმისოდაც ბევრი მტერი ჰყავს გარედაც და შინაც, უიმისოდაც ძნელ კრიზისს განიცდისო და რათ გაიჭირვებს საქმეს ჩვენის მონდურებითა და ჩვენ შორის ურთიერთობის გამწვავებითაო, მაგრამ, რეაქცია ბრმაა, ხოლო რეაქციის იარაღი—სტოლიპინი მეტად გამბედავი სახელმწიფო მოღვაწეა, რომ ფინლიანდიის გადამტერების შეშინებოდა. შავრაზმელთ ყველაფერი შეუძლიანთ დღეს და როგორ უნდა ეთმინათ რუსეთის იმპერიაში თავისუფალ კუთხის არსებობა?!

მაგრამ ყველა ამის ჩადენა ისე ადვილი არაა, როგორც ჭეშმარიტ რუსთა კავშირს ჰგონია. წარედგინა თუ არა მთავრობის პროექტი სათათბიროს, დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზრი შეშფოთდა და მოურიდებლად აღამაღლა ხმა. პროფესორები, დეპუტატები, ჟურნალისტები, სახელმწიფო მოღვაწენი—ყველანი ერთხმად ჰკიცხავდნენ სტოლიპინის „გამბედაობას" და მხოლოდ ოფიციალური და ოფიციოზური პრესა აფრთხილებდა საზოგადოებას, სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა არ შეიძლებაო. ევროპის საუკეთესო პროფესორებმა დასაბუთებული პროტესტიც გამოსცეს, რომელშიაც ამტკიცებდნენ, რომ ფინლიანდიას განსაკუთრებული სახელმწიფო ორგანიზაცია აქვს, რომლის შეცვლა საერთაშორისო უფლების დარღვევა იქნებაო; ფინლიანდიის ძირითად კანონების შეცვლა მხოლოდ სეიმს შეუძლიან და რუსეთის მთავრობის პროექტი ყოველ კანონიერების ფეხით გათელვა არის, რომელსაც განათლებული ქვეყნიერება ვერ მოითმენსო... პროტესტი იმდენად მძლავრი და ერთსულოვანი იყო, რომ რუსეთის ბიუროკრატიულს წრეებშიაც-კი შეიტანა ყოყმანი. გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრი, რომელთაც ყველაზე უფრო ხშირად აქვთ საქმე ევროპასთან და ყველაზე მეტად სცხვენიათ განათლებულ ქვეყნებისა, თუმცა მორიდებით, მაგრამ მაინც წინააღუდგნენ კანონპროექტს. უფრო მაღალ წრეებშიაც შეეპარათ ეჭვი... შავრაზმელობამ, რასაკვირველია, მაშინვე უმატა აგიტაციას და ეხლა სათათბიროსაც და საბჭოსაც ძალას ატანენ—კანონპროექტი უთუოდ ამ სესიაშივე დაამტკიცეთო.

საერთო პროტესტს ამ ჟამად ემატება ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტების ავტორიტეტიული ხმაც. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. უეჭველია, რუსეთის მთავრობა ამას ვერ მოითმენს და სახელმწიფოების მთავრობებს მოსთხოვს—ჩვენ საქმეებში ჩარევის ნებას ნუ მისცემთ პარლამენტებსაო; უეჭველია, პატრიოტული პრესა მთელ განგაშს ასტეხავს ამის გამო. მაგრამ იმ მნიშვნელობასა და გავლენას, რომელიც აქვს ევროპის საკანონმდებლო დაწესებულებათა აზრს რუსეთის მთავრობის მოქმედების შესახებ, ველარავითარი განგაში ვერ წაარეცხავს. რუსეთი კვლავ იძულებული იქნება ეს ახალი რამეც გადაყლაპოს, მოითმინოს, როგორც დაუძლურებულმა, თავის შინაურ საქმეებში ჩარევა და თან ანგარიში გაუწიოს ევროპის აღშფოთებულ საზოგადოებრივ აზრს.

როგორ დააღწევს თავს ამ გაჭირვებულ მდგომარეობას მთავრობა და როგორ გზას დაადგება მესამე სათათბირო, ამას მალე ვნახავთ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბერლინი.** ლანდტაგი. სოციალ-დემოკრატმა გირშმა სასტიკად გაჰკიცხა ბერლინის პოლიციის მოქმედება, რუსეთის მთავრობისათვის არ უნდა გადაეცა ტერ-პეტროსოვიო. გირშმა დაჰგმო უცხოელთა გაცემა პოლიტიკურის მოსაზრებით. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ტერ-პეტროსოვის გაცემის დროს ვხელმძღვანელობდით 1894 წელს რუსეთსა და პრუსიის შორის დადებულ ხელშეკრულობითო.

**ქრისტიანია.** ღამე საისტორიო ნაშთთა მუზეუმიდან მოიპარეს 75 ძვირფასი ნივთი.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. ილაპარაკა დიდმა ვეზირმა. მან სთქვა, რომ მინისტრთა საბჭო ემხრობა ფინანსთა მინისტრს და მოითხოვა, ხელმეორედ გადაესინჯათ ის კანონ-პროექტი, რომლითაც განსაზღვრულია პრინცების მეუღლეთა ჯამაგირი. დიდი ხნის კამათის შემდეგ დეპუტატთა პალატამ მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი და გააუქმა შაბათს მიღებული დადგენილება.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. პრილუკოვის მეორე დამცველმა ფლორინმა განაცხადა: კომაროვსკის მოკვლის აზრი პირველად ტარნოვსკაიას დაებადა და არა პრილუკოვს. ნაუმოვმა კომაროვსკი ტარნოვსკაიას შთაგონებით მოჰკლა. პრილუკოვი რადგან მხოლოდ ზნეობრივად აგებს პასუხს, მან მთავრობას არ აცნობა ტარნოვსკაიას განზრახვა და გადაწყვეტილება. პრილუკოვს კომაროვსკის მოკვლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და ტარნოვსკაიასათვის ამ მხრივ დახმარება არ გაუწევიაო. შემდეგი სხდომა 23 აპრილს.

**ქრისტიანია.** დააპატიმრეს ის კაცი, რომელმაც საისტორიო ნაშთთა მუზეუმიდან ძვირფასი ნივთები მოიპარა. იგი აღმოჩნდა ნორვეგიელი, ცნობილი ქურდი. ერთ დროს დაპატიმრებული სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში იყო მოთავსებული. მოპარული ნივთები ვერ იპოვეს.

**ბერლინი.** „ლოკალ-ანცეიგერს" ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: ოსმალეთის ელჩმა საბერძნეთის მთავრობას შეატყობინა, ოსმალეთის მთავრობა თანახმაა საბერძნეთის რკინის გზები ოსმალეთის რკინის გზებს შეუერთოსო. ამასთან ელჩმა საბერძნეთის მთავრობას გადასცა, რომ საბერძნეთს მეგობრულის თვალით ვუყურებთო. გარეშე საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა ელჩს და საბერძნეთის მთავრობის პასუხს შემდეგისთვის დაჰპირდაო. „ფოსიშე-ცაიტუნგს" ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივი პრესსა ოსმალეთის ელჩის განცხადებას დიდ მნიშვნელობას აძლევს და ოსმალეთ-საბერძნეთის რკინის გზების შეერთებას საბერძნეთისთვის არა სასარგებლოდ სთვლისო.

## ბრძოლა ალბანეთში

**სალონიკი.** შეფკეტ-ტურგუტ-ფაშამ ჩრდილოეთ ალბანეთში სამხედრო წესები გამოაცხადა.

## სპარსეთი

**ურმია.** სოუჯ-ბულაკიდან იუწყებიან: ქურთები მოსვენებას არ აძლევენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ცარცვა-გლეჯა ძალიან გახშირდა. ხალხს სცარცვავენ და ჰკლავენ მოურიდებლად, დღისით, ურმიის მიდამოებში, ან შინ ქალაქში. გუბერნატორს ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს ქურთებს. მცხოვრებლები პროტესტს აცხადებენ იმ გადასახადის გამო, რომელიც მეჯლისმა მარილზედ შემოიღო. მცხოვრებლებმა პროტესტის გამოსაცხადებლად სამი დღით დაკეტეს დუქნებიო.

**თავრიზი.** ადგილობრივმა მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრისაგან ბრძანება მიიღო, გარეშე საქმეთა მინისტრის დაუკითხავად უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომებთან არავითარი ხელშეკრულობა არ დასდოთო. ეს ბრძანება ეწინააღმდეგება ტურკმანჩაის ხელშეკრულობას და ხელს შეუშლის რუსეთის ვაჭრობას. ურმიისა და თავრიზის ადგილობრივი მთავრობები უკვე სარგებლობენ ამ ბრძანებით და არ ამტკიცებენ რუსეთის ქვეშევრდომთა კანონიერ ნასყიდობის ქაღალდებს.

**ჯულფა.** საღამოთი სპარსეთის ჯულფაში, თავრიზის გზის სადარაჯოს ახლო, უცნობებმა რევოლვერი ისროლეს. დარაჯებმა სროლითვე უპასუხეს. უცნობები მიიმალნენ. მცხოვრებლები დამშვიდებულებიია. ზოგიერთების აზრით სროლა ასტეხეს კანტრაბანდისტებმა, რომ მოსაზღვრე ჯარის და დარაჯების ყურადღება მიექციათ და შემდეგ ჩუმად გაეპარებინათ საქონელი.

## ჰაერში ფრენა

**სტრასბურგი.** გერმანელ ავიატორმა ვინცირსმა ორჯერ შემოუარა სტრასბურგის ტაძარს, 200 მეტრის სიმაღლეზედ.

**პეტერბურგი.** ავიატორი ლატამი სამჯერ შეეცადა გაფრენას, მაგრამ სამჯერვე ვერ შესძლო გაფრენა. პირველად ლატამი არშინ ნახევარის სიმაღლეზედ აფრინდა, გაფრინდა ოცკ საჟენს და შემდეგ ჩამოეშვა, რადგან ჰაეროპლანს ბორბლი გაუფუჭდა. მეორედ ჰაეროპლანს მოტორი გაუფუჭდა, მესამედ 6—7 მეტრის სიმაღლეზედ აფრინდა, მაგრამ უცბად მიწაზედ დაეშვა და ჰაეროპლანი გაფუჭდა.

**კიევი.** გაფრინდა ავიატორი უტოჩკინი. უტოჩკინმა 11 წუთი იფრინა და გაფრინდა ოცი ვერსს. ფრენას დაესწრო 4000 კაცი.

## რუსეთი

**ჰელსინგფორსი.** შაბათს, 24 აპრილს, სეიმი განიხილავს რუსეთის მთავრობის წინადადებას საერთო კანონ-მდებლობის შესახებ.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფის იაკუშკინის საჩივარი. იაკუშკინი უჩიოდა კურსკის თავად-აზნაურობას, რომელმაც იაკუშკინი ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მოწერისათვის თავის წრიდან გამორიცხა.

**ტაგანროგი.** ყაჩაღთა ძებნის დროს, ამ უკანასკნელებმა მოჰკლეს ორი პოლიციელი. პოლიციელებმა თავის მხრივ მოჰკლეს ერთი ყაჩაღი, დანარჩენები მიიმალნენ.

## ექსკურსია უფლის ციხეში

ორშაბათს, 19 აპრილს, პატარა ჯგუფი ინტელიგენციისა საექსკურსიოდ წავიდა უფლის ციხეში. ექსკურსანტებს უნდა დაეთვალიერებინათ როგორც უფლის ციხე, ისე გორის შესანიშნავი ადგილები. თუმცა წვიმიანი დღე გათენდა, მაგრა დანიშნულ დროს სადგურზე 30-მდე ექსკურსანტმა მოიყარა თავი. მატარებელი დაიძრა დილის 8 საათსა და 25 წამზე. 11 საათი იქნებოდა, როცა მატარებელი მიუახლოვდა უფლის ციხის ბაქანს. აქ ტფილისიდან მისულთ შეუერთდნენ გორიდან ჩამოსულნი და 40 მდე კაცი და ქალი შეუდგა პირველად ეგრედ წოდებულ ქვა-ხვრელას დათვალიერებას.

ქვა-ხვრელა მდებარეობს მტკვარს გამოღმა, უფლის ციხე კი გაღმა. ქვა-ხვრელა თუმცა მაღლობზეა, მაგრამ ქვეითად ასვლა ძნელი არ არის. ქვა-ხვრელის კალთაზე პატარა ეკლესიის ნანგრევებია. ეკლესიის ერდო ჩანგრეულია, მაგრამ კედლები ისე მაგრა აქვს შედუღებული, რომ უთვალავ საუკუნოებსაც ვერა დაუკლებია-რა. აღმოსავლეთ კედელზე დღემდე დაცულია შემდეგი მხედრული წარწერა:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა და წმინდისა ამის მონასტრისათა, მე ფრიად ცოდვილმან ბაბა სარდალ უხუცესის შვილის უთრუთის მეუღლისა მან გამდელმან მარიამ ციხოვნეს ასულმან აღვაშენე წმინდა ესე საყდარი სულისა ჩემისა სახსენებლად და ბატონის ჩემის უთრუთისა და მეუღლისა მისისა ძეთა მათთა და ასულთა მათთა სადღეგრძელოდ... სრულ იქმნა საყდარი ესე აპრილის ა-სა ქორონიკონსა უდ (1184 წ.).

ამ ეკლესიის ზემოდ ქვახვრელას კალთები მაღლდება და მიუვალი ხდება გარდა ჩრდილოეთის მხრისა. ქვა-ხვრელას გორა თავდება ერთი უზარმაზარი ქვით. ჩრდილოეთის მხრით ქვა-ხვრელას მიშენებული აქვს პატარა სამრეკლო და აქედანვე აქვს შესავალი. შესავლიდან იწყება გვირაბი. კაცი შედის დიდს გამოქვაბულში. გამოქვაბული იყოფება ორ დარბაზად, შეერთებული მადაროთი. მნახველი განცვიფრებაში მოდის ამ შესანიშნავს ადგილით, რომელიც მოწამეა იმისა, თუ მტრისაგან მუდამ დევნილი ხალხი სად კლდეებსაც როგორის მოხერხებით ატლიდა გულს და ციხედ აქცევდა. ასეთ ადგილას ჩასაფრებული ხალხი ადვილად გაუმასპინძლდებოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. ეს ციხე სამას კაცამდე დაიტევს.

ქვა-ხვრელას შესავალში სომხური წარწერაა, რომელიც ახალ დროის ნაყოფი უნდა იყოს. როცა გამოვიკითხეთ, აღმოჩნდა, რომ ქვა-ხვრელა სომეხთა ეკლესიის საკუთრებად გამხდარა. დაურქმევიათ „სურფ-ნიშანი“ და ადგილობრივი სომხის მღვდელი იქ ასრულებს მღვდელ-მოქმედებას. „სურფ-ნიშანის“ მახლობლად მდებარეობს პატარა სოფელი ქვა-ხვრელა, რომელშიაც 80-მდე გრიგორიანი სცხოვრობს. აი, ამ სოფლის მცხოვრებთათვის სწევს ეკლესიის მსახურობას ადრე „ქვა-ხვრელა“ და ეხლა-კი „სურფ-ნიშანი“.

ქვა-ხვრელას დათვალიერების შემდეგ ნავებით გადავედით მტკვრის მეორე ნაპირზე და შევუდექით უფლის ციხის დათვალიერებას. უფლის ციხე მიდამო წარმოადგენს მაღალს კლდეს, რომელიც ამაყად გადასცქერის მტკვრის გამოღმა გაშლილ მინდორ ველებს. მდებარეობა ციხისა ისეთია, რომ იქ ჩასაფრებულ კაცს შეუძლიან რამდენიმე ვერსის მანძილზე შენიშნოს მტერი ციხეში ასასვლელად ორი გზა უთვიდა, ერთი სატალღეხო, კლდე-კლდე მიმავალი, ხოლო მეორე გვირაბია, რომელიც მტკვრის პირიდან იწყება და შუა ციხეში ადის. უფლის ციხე დიდს და შესანიშნავს სანახაობას წარმოადგენს. ციხეს შეეძლო დაეტია 20,000 კაცამდე. ამოდენა ციხეში კაცი ვერსად ვერ შეხვდება ქვითკირის ნაშენობას, ერთს კოშკს გარდა. ყველგან სალი კლდეა გამოჭრილ-გამოქანდაკებული. გადმოცემით, უფლის ციხეში მთელი ქალაქი იყო თურმე გაშენებული. ორი საათი მეტი მოუნდა ექსკურსია ციხის დათვალიერებას. ციხეში მრავალი დარბაზია. ოთახები პირდაპირ კლდეშია გამოჭრილი. ჭერიც კლდისაა, იატაკიც და კედლებ-ბოძებიც. ადვილად წარმოიდგენს მკითხველი, რა შრომა და მუშაობა დასჭირდებოდა ამას.

სხვა სადგომებზე უფრო ხელოვნურად მოწყობილი ყოფილა ეგრედ წოდებული თამარ მეფის პალატი. პალატს წინ ქვით კირის კოშკი აქვს მიშენებული. თვით პალატი სამი განყოფილებისაგან შესდგება და მეტად ოსტატურად არის კლდეში გამოჭრილი. ექსკურსიამ, დათვალიერების შემდეგ, ამ პალატაში მოიყარა თავი და ბ-ნმა მოსე ჯანაშვილმა აქ გადასცა დამსწრეთ ისტორიული ცნობები უფლის ციხის შესახებ. ბ-ნ ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ გარდმოცემით უფლის ციხე აშენებულია ქართლოსის მამის უფლოსისაგან ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე. ქართლის ცხოვრებაში უფლის ციხე იხსენიება მე-8—9 საუკუნეში. ნათქვამია რომ კახეთის მეფე საომრად მივიდა უფლის ციხეში გამაგრებულ ქართლის მეფესთან. კახელები ქვა-ხვრელას ციხეში გამაგრებულან. მაგრამ ომი აღარ მომხდარა, რადგან ქართველთა მეფეთ-მეფე ტაოდან მოსულა და საომრად გამზადებული მოქმენი შეურიგებიათ. თამარ მეფის დარბაზში, ბ-ნ მოსე ჯანაშვილის დახმარებით, ექსკურსანტებმა ორი წარწერა გაარჩიეს. კედელზე მხედრულის ასოებით სწერია „გიორგი სითხი“ და „ქ, ესე იადგარი:. მე შამთელი:. რებული დამიწერია ქორონიკონს უთ“ (1189 წ.) მოხედრულისავე ასოებით შუა სვეტზე კარგა დიდი წარწერაა, მაგრამ ძნელი გასარჩევია რადგანაც ვინც კი მისულა უფლის-ციხეში, ყველას ნახშირით, თეთრი მიწით და ყარანდაშით გაუთხუპნია და დაუბღაჯნია. ვიდრე არ გადაირეცხება, ძნელი გასარჩევია ასოები. საზოგადოდ ციხე უპატრონოდ არის მიტოვებული.

უფლის-ციხის დათვალიერების შემდეგ ექსკურსიამ გადასწყვიტა გორში წასვლა და გორის ციხის დათვალიერება. ერთი ნაწილი უფლის ციხიდანვე დაბრუნდა ტფილისში, ხოლო უმრავლესობა გორისკენ გაემართა ფეხით. ძლიერი ქარი უბერავდა და ეს უჭირებდა საქმეს მგზავრებს. გორში ექსკურსანტებმა მატარებელს ვეღარ მოუსწრეს და მთელი ღამე სადგურზე მოუხდათ ცდა. საზოგადოდ, როგორც ახალი საქმე ჩვენში, ექსკურსიები ჯერ კიდევ რიგიანად ვერ ეწყობა. საჭიროა ყველაფრის თადარიგის დაჭერა, ყველაფრის წინადვე შემზადება, რომ ექსკურსანტებს გული არ გაუტყდეთ. თქმა არ უნდა, შინაარსიან ექსკურსიების მოწყობას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის ქვეყნის გაცნობა-შესწავლის საქმეში.

**მგზავრი.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**✦ პანაშვიდი.** გუშინ ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გრ. ვოლსკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის პატივის მცემელნი.

**✦ ძველ მარკებს ძალა აღარა აქვთ.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ ყველას საყურადღებოდ, რომ მდგომარე წლის პირველ მაისიდან ფოსტაში აღარ მიიღება წერილები წინანდელ-სახის 1, 2, 3, 4, 7, 10, 14, 15, 25, 50 და 70 კაპეიკიან მარკებით. არ მიიღება აგრეთვე $7^1/_2$ კაპეიკიანი ბლანკები დახურულ წერილებისა.

**✦ სეირნობა.** დღეს ნამესტნიკის სასახლის ბაღში წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ გაიმართება სეირნობა და ლატარია-ალეგრი.

**✦ მუხრანის ხიდი.** რკინის ნაწილები მუხრანის ხიდისა თითქმის დაასრულეს და ამ ჟამად გასასწორებელია ხიდის გაღმა-გამოღმა მისავალი ადგილები. როდესაც გამოღმა ნაპირი, მტკვრის პირად, გასწორდება, კარგა მოზრდილი მოედანი გაჩნდება. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ რამდენიმე ხნის წინად ხმოსან ჰრელაშვილმა მოხსენება შეიტანა ქალაქის საბჭოში, რომ თვითმართველობამ გამოიყენოს მუხრანის ხიდთან მდებარე მოედანი და მოაწყოს იგი საბაზრო ადგილად, რათა იარმუკა შუაბაზრიდან იქ იქმნას გადატანილი.

**✦ მაზრის უფროსის მოკვლა.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: „განჯის გუბერნიაში სტრაჟნიკებსა და ყაჩაღებს შეტაკება მოუხდათ. ყაჩაღებმა მოჰკლეს შუშის მაზრის უფროსი“.

**✦ დაჭრა.** „კავკ.“ სიტყვით, სამშაბათს, 20 აპრილს, ბაქოში მასწავლებელ შირინიანცს დაუჭრია ქალთა გიმნაზიის მოწაფე სარქისიანცი მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მომხდარა.

**✦ რეფერატი.** ხვალ საზოგად. კლუბში (ბირჟის სადგომი) კ. დ. დავიდოვი წაიკითხავს რეფერატს

## ერთ ღამეს

რუსული ენის მასწავლებელმა ორები დაგვისვა, მაგრამ, რაკი კეთილი კაცი იყო, დაგვპირდა, თუ ნაადდგომევს ნახევარ წლის კურსს ჩავაბარებდით, ნიშნებს გადაგვისწორებდა. ჩვენც ბეჯითობას მივყავით ხელი და მთელ ვნების კვირას მუყაითად ვსწავლობდით. მხოლოდ შაბათ საღამოთი, აღდგომის წინა დღეს, გადავწყვიტეთ შეგვესვენა, და ჩემი ამხანაგის ბნელ და ჭუჭყიან ოთახში ორი ბოთლი წითელი ღვინო დავამზადეთ.

აზობამ და მთელმა კვირამ ძალიან უფერულად ჩაიარა. ბეჯითად ვსწავლობდით და ამ ბეჯითობამ ქვეყანას მოგვწყვიტა. ჩვენთვის ყველაფერი გაჰქრა და ირგვლივ მხოლოდ წიგნები მეფობდა. გაზაფხულის მშვენიერებაც გაჰქრა. იგი აღარ გვიტყუებდა, მზე აღარ გვიალერსებდა და წინა-წლებსავით გიჟურ მხიარულებისაკენ აღარ გვიწვევდა.

მე და ჩემი ამხანაგი ბეჯითად ვსწავლობდით. რუსული ენის მეტი არა გვაგონდებოდა რა. უკანასკნელ კლასში უნდა გადავსულიყავით და ჩვენი შემაფერხებელი რუსული ენა იყო. სტუდენტური ლურჯი ქუდი შორიდან ელავდა. ორი თვის შემდეგ უკანასკნელ კლასის მოწაფეებად ვიქცეოდით და შრომა იყო საჭირო. და ამ ერთ კვირას ისე გავერთენით მეცადინეობაში, რომ ქვეყანა ჩამოგვშორდა: იგი სადღაც დაგვრჩა, თავის სისხლით, კვნესით და სიცილით. ჩვენ კი ოთხ კედელ შუა გამოვემწყვდიენით და ვსწავლობდით. პატარა ოთახის ჭუჭყიანი კედლები წინ იწევდნენ, ჭერი დაბლდებოდა, ჰაერი უძრავი და მუქი ხდებოდა და ოთახის ჭუჭყიან შუქში ჩვენი კითხვის ხმა ღა მოისმოდა. მხოლოდ მაშინ ვგრძნობდით დაღლილობას, როცა თავს წიგნებიდან ავწევდით, წაკითხულ ფურცლებსა ვთვლიდით და ვხედავდით, რომ ვერც არა დაგვესწავლა და სასწავლებელიც ბევრი რჩებოდა.

ქვეყნის ამბავი გარედან მხოლოდ დიასახლის შემოჰქონდა. ჩვენი დიასახლისი დაბალი, პაჭუა და ქერა დედაკაცი იყო, სასამართლოს მეკარის ქვრივი, და მისი მოტანილი ამბებიც მხოლოდ ამ ქვეყანას ეკუთვნოდა, ისეთსავე ჭუჭყიანს, დაწვრილმანებულს და უხამსს, როგორიც იყო მისი ოთახები და ცხვირი, რომლის ბოლოზედაც მუდამ ტრიალებდა თამბაქოს ბოლი. ჩაის შემოგვიტანდა ხოლმე და იტყოდა:

— ქვედა მდგმური მთვრალი მოვიდა და ცოლსა სცემს...

ხან კი გვამცნევდა:

— თქვენს მეზობელს ლიზას წუხელის ერთი კაცი ეწვია სტუმრად, ძალზე მთვრალი იყო და ლიზამ საათი მოჰპარაო.

ჩვენ კი უსუპთაო ფინჯნებში თხელ ჩაის ვსხამდით, დიასახლისის ნალაპარაკევს ყურს ვუგდებდით და ვფიქრობდით, რომ კარგი იქნებოდა თუ ამაღამ ორი თავის დასწავლას კიდევ მოვასწრებთ. დიასახლისი, რაკი თავის სათქმელს იტყოდა, ლიტრასა და ტაშტს გაიტანდა და როცა უკან დაბრუნდებოდა სავსე ლიტრითა და ცარიელი ტაშტით, იკითხავდა: „ჩაი ხომ არა გნებავთო“. ჩვენ მუდამ უარს ვეუბნებოდით. ისიც თავის ჩაიდანს გაიტანდა, და მეზობელ ოთახის თხელ კედლიდან დიდხანს გვესმოდა ბანქოს შრიალი: დიასახლისი თავის მდგმურს პოლიტიკას ეთამაშებოდა.

ჩვენს ოთახს ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა, იგი ტალახიან ეზოს გადასცქეროდა. ფანჯრების წვრილ და დაურეცხავ შუშებში მზის შუქი ოდნავ შემოდიოდა, კრთოდა, იატაკს ეცემოდა და შემდეგ ოთახის მუქ ჰაერში იფანტებოდა, თითქოს იგი ოთახის კუთხეებმა შთანთქესო, რომ ჩვენთვის არ გაენათებინა. ამ ფანჯრიდან ერთი დიდი სახლის, მიწის ფერი, ყრუ და დიდი კედელი მოსჩანდა. რა ხდებოდა ამ კედელს იქით, ჩვენი ფანჯრიდან ვერა ვხედავდით. კედელი დიდი, უძრავი და უდრეკი იყო და იგი ჩვენს ცხოვრებას რაღაც სხვა ცხოვრებისაგან აცალკევებდა. იქ ჩვენი ამხანაგები სცხოვრობდნენ, ჩვენსავით მოსწავლენი, მაგრამ მათი ცხოვრება ჩვენსას არა ჰგავდა. ისინი ჩვენზე მხიარულნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი იყვნენ. ისინი არ იცნობდნენ არც გაჭირვებას, არც შიმშილს. არ იცოდნენ, რომ იმისთანავე სიცოცხლე, როგორიც მათა აქვთ, ჭუჭყიან ოთახშიაც ჩფეთქდა. ისინი მთელ ცხოვრებას იმავ სქელ კედლიდან უცქეროდნენ. ასე ვფიქრობდით, როდესაც ფანჯარიდან იმ დიდი სახლის მიწის ფერ კედელს ვუცქერდით.

მაგრამ როცა ჩვენი ოთახის ჭრიალა კარებს გავაღებდით, საღამოობით იმავ სახლის დიდრონ შუშებიან ფანჯრებსა ვხედავდით. ეს ფანჯრები ელექტრონის უძრავ და ყვითელ შუქით განათებული და შიგ ვეებერთელა ოთახის თეთრი კედლები მოსჩანდა. ოთახი შუქის ზღვით იყო გაჭედილი. ეს ზღვა ჰკრთოდა, ციმციმებდა და თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ქალები ამ ზღვაში უხმოდ და უძრავად დასცურავდნენ. მათი ვერც ხმა გვესმოდა, ვერც თვალებსა ვხედავდით, მაგრამ გვეგონა კი, რომ ხმა როიალის იმ წრიალს უნდა ჰგავნებოდა, რომელსაც მათი, ჩვენთვის უნახავი, მაგრამ მარმარილოს თითები იძლეოდნენ. ჩვენ დაბალ სართულიდან მალა შევცქეროდით იმ ეთეროვან, ოქროს ფერ სივრცეში უხმოდ მცურავთ და გული ერთბაშად ცრემლიან ნეტარებით გვევსებოდა, სული ჩვენი რაღაც მსევდარე სულს ულოლიავებდა იმისკენ, უხილავუგრძნობლობისაკენ შემკრთალი კანკალით მიილტოდა. ვიცოდით, რომ იქ ოჯახის დამშვიდებული სული ბატონობდა, სული განსხვავებული ჩვენი ღარიბ ოჯახის გატანჯულ სულისაგან. ამას ვფიქრობდით და ვგრძნობდით, მაგრამ ჩვენი გრძნობა და ფიქრი ხან-გრძელი არ იყო, რადგან ჩვენ ამას მხოლოდ მაშინა ვგრძნობდით, როცა კარებიდან იმ დიდ სახლის კარ-ფანჯრებს ვუცქეროდით. მაგრამ რადგან ჩვენ საკუთარ კარებში შესვლა-გასვლას დიდხანს არ ვუნდებოდით, არც ეს სურათი გრძელდებოდა დიდხანს. ეხლა კი, ამ კვირას, რა კი სწავლამ ჩაგვითრია, იმ კარ-ფანჯრისათვის აღარ შეგვიხედნია და მათ შინაარსზე აღარ გვიფიქრია. ჩვენი ლამპარი ჰბოლავდა და დაგვავიწყდა, რომ იქ დიდი შუქი იყო, რომელიც არც თვალებს აფუჭებდა და არც ნავთის სუნს აყენებდა. ჩვენი ოთახის კედლები ვიწროდ იყო ერთმანეთზე მიყრილი, ყვითელი ქაღალდი მით აპირქუშებდა და დაგვავიწყდა, რომ იქ, სხვაგან, დიდრონი თეთრი კედლები იყო. ჩვენთან ჩვენი პაჭუა დიასახლისი შემოდიოდა და ჩვენს ისედაც ჰაერ-მოწამლულს ოთახში თამბაქოს სუნს აყენებდა და დაგვავიწყდა, რომ იქ ეთეროვანი, შავთვალებ თეთრი ქალები დასცურავდნენ უხმოდ, უმოძრაოდ...

ძნელი იყო ცხოვრება, მაგრამ ღარიბი კაცისათვის არ-სწავლა უფრო ძნელი იყო. ჩემს ამხანაგს მშობლები არ ჰყავდა და ბიძის დახმარებით სცხოვრობდა. მამა ჩემს-კი დიდი ოჯახი ჰყავდა, სოფლის ღარიბი მღვდელი იყო. მე ქალაქის ბოლოში ვცხოვრობდი დედითა და და-ძმებით და რადგან შინ ადგილი არა გვქონდა, სასწავლებლად ამხანაგთან დავდიოდი. იგი მარტო სცხოვრობდა, ქალაქის შუა-გულის ერთ პატარა ქუჩაში.

— ეხლა დავისვენოთ!—მითხრა ამხანაგმა აღდგომა-ძალს, საათმა რვა რომ დაჰკრა.

— დავისვენოთ! —დავეთანხმე მეც.

— მაგრამ ღვინოს ზარბაზანი რომ გავარდება, მაშინ დავლიოთ.—მიპასუხა მან, თან მოხმაბეზრებელ წიგნებს დაუწყო ლაგება.

მივალაგეთ წიგნები და საადდგომო ზარბაზანს დაუწყეთ ცდა.

სიჩუმე და მოწყენილობა იყო. თავი დამძიმებული გვქონდა და კითხვისაგან ყბები გვტკიოდა. ღამის სიბნელეში გახვეულ მიწი ფერ კედლიდან სიჩუმე გადმოდიოდა, ჩვენს ფანჯარაში შემოდიოდა, ჭუჭყიანდებოდა და ჩვენს დაღალულს ყურებში შედიოდა. დაღლილი გონება მისი სიმძიმით უფრო იღლებოდა. და რომ არ მოგვწყენოდა, რომ შუა-ღამემდის ძილი არ მოგვსლოდა, ლაპარაკი დავიწყეთ.

უწინარეს ყოვლისა სიტყვა ისევ სწავლაზე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ამას თავი დავანებეთ და ერთმანეთს ჩვენი ცხოვრების ამბებს მოვუყევით. დრო ნელა მიდიოდა, შუაღამე გვიანდებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ: შუა-ღამემდის ერთი ბოთლი დაგველია, ხოლო ზარბაზანს რომ გაისროდნენ, მაშინ მეორე. მაგრამ ერთ ბოთლს მეორეც მოჰყვა და ჩვენდა შეუმჩნევლად საიდანღაც მესამეც გაგვიჩნდა. ამის შემდეგაც თავი დამძიმდა, თვალები აიმღვრა და ოთახმა ტრიალი დაიწყო. ძარღვები დაგვეჭიმ-დაგვებერა, გონება აგვემღვრა და ენა დაგვიდუნდა. ჩვენ წინ ყველაფერი ჰხტოდა, თითქოს თილისმის ქვეყნის მცხოვრებნი არიანო.

— წყალი ხომ არ გავლით?— შემოაბოლა ოთახში დიასახლისმა, ლიტრას ხელი წაავლო და შეგვატყობინა, რომ მეზობელ ქალს სტუმარი მოუვიდა და ერთი ბოთლი არაყი მოუტანაო. და რაკი ეს შეგვატყობინა, ლიტრით ხელში მსწრაფლ გავიდა.

— როცა სტუმარი წავა, ჩვენ ვეწვევნეთ...—ვუთხარი ამხანაგს და ხელი მეზობელ ქალის ოთახისაკენ გავუშვირე.

— კარგი.—დამეთანხმა იგი.

და როცა დიასახლისმა ლიტრით წყალი შემოგვიტანა, ამხანაგმა ხელი წაავლო, მოიზიდა და აკოცა.

— რას სჩადი!—შეუბღვირა დიასახლისმა, მაგრამ ამხანაგმა ლაპარაკი არც კი დააცალა.

მე უკვე გარედ, დაბალ აივანზე ვიდექი, როცა შიგნიდან შემომესმა:

— ძაღლო, დამაცა!..

როცა ოთახში შევედი, თავი ერთი ორად უფრო მიბრუნდა. გარედ აივანზე ეხლა ჩემი ამხანაგი იდგა და როცა ისიც შემობრუნდა, დიასახლისმა კვლავ შემოგვძახა: „ძაღლებოო“ და გარედ გავიდა...

ჩვენ გაშტერებულნი ვიდექით. გაბუტებულებივით ერთმანეთს პირს ვარიდებდით. სიჩუმე, მძიმე, კედლიდან გადმოსული სიჩუმე ეხლა მარტო გონებას კი არა, გულსაც გვიმძიმებდა, გვაშფოთებდა და გვაწუხებდა. ღვინის ძალა ერთბაშად გამოგვინელდა და ვიგრძენით, რომ იმ წუთს უსკრულს ჩავეშვენით, ქვეით, სიბნელესა და სიჩუმეში, იქ, სადაც ადამიანს გონება ეხშობა, სული წარტყვევნილი აქვს, სურვილი მხეცური, დაწვრილმანებული. თავ-ჩაღუნული დავსხედით, მე ფანჯარაში, ამხანაგი კი თავის ლოგინზე. და თუ უნებლიედ ერთმანეთს შევხედავდით, ვწითლდებოდით და პირს ვიბრუნებდით ხოლმე. გვინდოდა არ განძრეულიყა-

„სერგეი მაკოვსკის პოეზიის მოტივები“. რეფერატის შემდეგ გაიმართება ბაასი. დასასრულ, ითამაშებენ შჩეპკინა-კუპერნიკის ერთ მოქმედებიან კომედიას „ირინე“.

**შუშის მაზრის უფროსის მოკვლა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, 19 აპრილს სოფელ ორანკალის მახლობლად ყაჩაღებს მოუკლავთ შუშის მაზრის უფროსი ლაკატოში. 18 აპრილს ლაკატოშისთვის შეუტყობინებიათ, რომ ორანკალში ყაჩაღები არიანო. მაზრის უფროს წაუყვანია თან ბოქაული და სტრაჟნიკები და 19 აპრილს, გათენებისას, გარს შემორტყმია იმ სახლს, რომელშიაც ყაჩაღები ყოფილან. ლაკატოშს წინადადება მიუცია, იარაღი დაჰყარეთო, რაზედაც ყაჩაღებს სროლით უპასუხნიათ. ლაკატოში იქვე უსულოდ დაცემულა. სტრაჟნიკებს შეუმტვრევიათ სახლის კარები და დაჰრევიან ყაჩაღებს. ყაჩაღებს ხანჯლებით აუკუწიათ ერთი სტრაჟნიკი, მეორე დაუჭრიათ. სტრაჟნიკებს თავის მხრივ აუკუწიათ ერთი ყაჩაღი, დაუჭრიათ მეორე და შეუკრავთ მესამე. მეოთხე ყაჩაღი გაქცეულა.

**სასამართლოში.** ორშაბათს, 26 აპრილს, სამხედრო სასამართლო გაარჩევს ქალაქ გორის მცხოვრების სიმონ ტერ-პეტროსიანცის და ავსტრიის ქვეშევრდომის დიმიტრი მირსკის საქმეს. პირველს ბრალდება ერევნის მოედნიდან 250,000 მანეთის გატაცებაში მონაწილეობის მიღება, მეორეს დამნაშავეების დამალვა. ამას გარდა, მათ ჰბრალდებათ სხვა და სხვა პოლიტიკური საქმე. ტერ-პეტროსიანცი ბერლინში დააპატიმრეს, სადაც იგი დიმიტრი მირსკის გვარით სცხოვრობდა.

**კამეჩის ხორცი.** 20 აპრილს ტფ. საგუბერნიო საპატიმროს ზედამხედველმა გამოუგზავნა შესამოწმებლად ორ ფუთ ნახევარი ხორცი საბჭოს უბნის ექიმს თათულიანცს. ნახევარი ხორცი კამეჩისა აღმოჩნდა და ნახევარი ხარისა. ხორცი ძროხისა უნდა ყოფილიყო, იგი საგუბერნიო საპატიმროში მიუტანია მოიჯარადრეს, რომელსაც ოქმი შეუდგინეს და პასუხის გებაში მისცეს.

1 მარტს, 1908 წელს გუმბრის მცხოვრებთან იაკობ ასტვაცატუროვთან მაღაზიაში პოდვალნი ქუჩაზე მისულა უცნობი კაცი 29—30 წლისა, სომეხი, და მოუთხოვნია შაქრის მარილი. უცნობს დაკიდილ ჩვრებში გახვეული გატალახიანებული ათ შაურიანი მიუცია. ასტვაცატუროვს ფული გაუწმენდია, კასაში ჩაუდვია და ხურდა 45 კაპეიკი მიუცია. ეს ამბავი გაჭხარებია უცნობს, მუხლებზე დავარდნილა და ფეხებზე უკოცნია ასტვაცატუროვისათვის ათ შაურის მიღებისათვის. ამასთან უცნობს განუცხადებია, თუ ასეთი ფასი აქვს ამ ფულს, გთხოვ გამისადოთ სხვაც; რამდენიმე ტომარა მაქვს მაგ ფულით სავსე, მიწის თხრის დროს ადმოვაჩინე, მე ყალბი მეგონა და ეგ კი კარგი ყოფილაო. ასტვაცატუროვს თანხმობა განუცხადებია. სადამოთი ორს უცნობს სავსე ტომარა მოუტანია და უთხოვნია, ეს ტომარა თქვენ სეფულე ყუთში შეინახეთ, გასადები ჩვენ გადმოგვეცით და ცოტა ხანს უკან მეორე ტომარასაც მოგართმევთო. ასტვაცატუროვს ტომარა წაუღია და უცნობებთან ერთად იმ ყუთში ჩაუდვია, სადაც ცოლს 1,200 მანეთი ჰქონია შენახული. უცნობებს წაუღიათ გასაღები და იმ დღიდან დაკარგულან. ბოლოს დაეჭვებულ ასტვაცატუროვს გაუტეხია ყუთი და უნახავს, რომ უცნობებს ჩუმად ამოეღოთ 1,200 მანეთი. ამ დღეებში პოლიციამ დააპატიმრა განჯის გუბერნიის მცხოვრები ადასი რომანის ძე აივაზიანცი. ასტვაცატუროვს მოჰგონებია 1908 წლის ამბავი და წასულა პოლიციაში იმის გასაგებად, ჩემი ფულის ქურდი აივაზიანცი ხომ არ არისო. ასტვაცატუროვს აივაზიანცი უცვნია. ეხლა ირკვევა, რომ აივაზიანცს ბევრი მოუტყუებია ტფილისში.

31 მარტს ერევნის მოედანზე დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელმაც თავისი თავი სოფელ სოგუთლის მცხოვრებ სრთპიონ მელქოს ძე სარქისოვად გამოაცხადა. გამოძიებით გამოირკვა, რომ სარქისოვი ნამდვილად ალექსანდრე მელქოს ძე ვართანიანცია და ერევნის გუბერნიის სოგუთლის მცხოვრები. 1903 წელს 25 აგვისტოს ვართანიანცი გამოქცეულა მე-14 მსროლელ პოლკიდან და იმალებოდა სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად. 1904 წელს დაუპატიმრებიათ იგი ეჩმიაძინის მაზრაში და ციხეში ჩაუსვამთ, მაგრამ იგი გაქცეულა. შემდეგ ვართანიანცს სოფელ კამარლოდან მოუტაცნია სპარსელი ქალი და სოფელ სპროვანჯუკის მღვდლის აკოფ ტერ-აივაზოვის დახმარებით ძალით გრიგორიანობა მიუღებინებია და შემდეგ ჯვარი გადაუწერნია. 1908 წელს ვართანიანცს დაუჭრია რევოლვერით გუმბრის მაზრაში სარა ტუმასოვი, ხოლო სოფელ კუდკაში მოუკლავს მასწავლებელი მიხეილ საააკიანცი. ვართანიანცი ყულდატუერში გამოტეხილა.

21 აპრილს გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებმა 27 წლის ქალმა სეკლეტინა გლიშკოვმა იოდი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

21 აპრილს პოლიციამ გაჩხრეკის დროს პოლიციის 1, 9, 5, 3, და 12 ნაწილში დააპატიმრა 90 უპასპორტო კაცი.

21 აპრილს პოლიციამ დააპატიმრა ივანე ტრეტიაკოვი და საქულ ოსკანოვი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით გამოპარულან და ტფილისში იმალებოდნენ.

ტფ. გუბერნატორმა ნება დართო სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას 6 მაისს ტფ. საარტისტო საზოგადოების საზაფხულო განყოფილებაში გამართოს საჯარო სეირნობა.

# მოწერილი ამბები

**დ. მანგლისი.** როგორც ვიცით, მანგლისი სამი ნაწილისაგან შესდგება: ძველი მანგლისი, პოსელენიე და შტაბი. პირველ ორ სოფელში სულ რუსები არიან დასახლებულნი. შტაბშიაც მეტი წილი რუსობაა, დანარჩენი სომხობა და ქართველობაა. ვაჭრობა სომეხთა ხელშია. თუმცა სომხობა ცოტაა, მაინც ყველასფრით მოწყობილნი არიან. აქვთ ეკკლესია, სასაფლაო, სკოლა, სამკითხველო, საზოგადო დარბაზი და სხვა. ქართველობაც ცოტაა, მაგრამ ისინი, როგორც სხვაგან, აქაც მოკლებულნი არიან ყველაფერს. არა აქვთ არც ეკკლესია, არც სასაფლაო, არც სკოლა, არც წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სხვა არც კულტურული დაწესებულება. ძველ მანგლისში არის ისტორიული ძველი ეკკლესია მე-4-5 საუკუნეში აგებული. ეს ეკკლესია შეადგენს რუსის სამრევლოს. წირვა-ლოცვა სლავიანურად სრულდება. ეს ეკკლესია ორი ვერსის მანძილზეა დაშორებული შტაბზე, რის გამოც ქართველი საზოგადოება იშვიათად დაიარება იქ.

ქართველ საზოგადოებაში მოიპოვება ბევრი ისეთი პირი, რომელთაც შეუძლიათ მეთაურობა გაუწიონ ყველა კეთილ დაწესებულების დაარსებას. მაგრამ უბედურება ის არის, რომ არ უნდათ აუტკივარი თავი აიტკიონ. აქ სდგას ერევნის პოლკი. თითქმის ნახევრამდე ოფიცრობას ქართველები შეადგენენ. ესენიც დახმარებას გაუწევენ ყველა ამისთანა სიმპატიურ დაწესებულებას. საჭიროა მხოლოდ მეთაური. ზაფხულობით აქ მოდის საავარაკოდ მრავალი ხალხი. მოდიან საქართველოს ყველა კუთხიდან, ბაქოდან, განჯიდან, ყარსიდან, გუმბრიდან და ტფილისიდან. აქ იმართება ხოლმე საღამოები, წარმოდგენები და სხვა გასართობება, მხოლოდ სომხურ ენაზე, არის რუსულზედაც. მეთაური რომ ჰყავდეს მანგლისელ ქართველობას, ზაფხულში რამდენჯერმე დაიდგმის ქართული წარმოდგენა, რითაც საშუალებას მიეცემა საზოგადოებას დაიარსოს წიგნთ-საცავ-სამკითხველო მაინც. არიან აქ ბლომად სომხები, რომელთაც სომხური სრულებით არ იციან. ესენი სიამოვნებით დაესწრებიან ყოველ ქართულ წარმოდგენას.

არ არის არავითარი დაწესებულებები-მეთქი მანგლისში. მანგლისი კი შეადგენს ცენტრს ახლო-მახლო სოფლებისას. აქ კი რომ არსებობდეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო ან სკოლა ყმაწვილთა თავშესაფრით, მაშინ ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფლელებს მიეცემოდა საშუალება ესარგებლათ სიახლოვით და იმათ ბავშვებს წერა-კითხვა ესწავლათ.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მომრიგებელ შუამავლის მეთაურობით აქ იხსნება ოთხ კლასიანი სამეურნეო სასწავლებელი თავშესაფარით. 4000 მანეთი უკვე გადადებულია ამ სკოლისთვის. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აღუთქვამს კიდევ 3000 მანეთი. იმედია მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლა გაჩაღდება.

ასეთივე სკოლა იხსნება გერმანელების სოფლებში ელისავეტტალში მომრიგებელ შუამავლის მეოხებით.

ადგილობრივი მომრიგებელი შუამავალი თავ. ჭავჭავაძე თუმცა მოხუცია, მაგრამ მაინც მხნედ მოქმედებს. მან დიდი სარგებლობა მოუტა ტფილისის მაზრის გლეხობას. იმის ხელში და მისი წინამძღვრობით ბევრმა სოფელმა შეიძინა მამულები ბანკიდან. ეხლა სცდილობს დაარსოს მანგლისს გარშემო მდებარე გლეხებისათვის დამხმარებელი კასა.

რადგან გაზაფხულდა და მოაგარაკენი დაიწყებენ დენას მანგლისში საავარაკოდ, ამიტომ უნდა აღვნიშნო მოაგარაკეთა საყურადღებოდ შემდეგი: მოაგარაკეთა ბანაკში მუდამ და თითქმის ყოველს ოჯახში არიან ხოლმე ავადმყოფნი სხვა და სხვა სენით შეპყრობილნი—ქლექით, ტიფით და სხვა. ახლო-მახლო სოფლებიდან გაჭირვებულ გლეხს, თუ აბადია რამე, კვერცხი, რძე, ქათამი, ხაჭო და სხვა ამისთანა რამ, ორიოდე გროშის გამოსარჩენად ჰყიდის მანგლისში და ნაცვლად ყიდულობს ძველს ტანისამოსს მოაგარაკეთაგან ოჯახისათვის. რა იცის მან, რა სატკივრიან ტანზე ცმულა ეს ტანისამოსი. ამითი ვრცელდება სხვა და სხვა სენი. სოფ. დიდი თონეთი უფრო მარჯვეა მანგლისზე; აქაური მცხოვრებნი, მომეტებულად დედაკაცობა, მიდიან მანგლისს, შოულობენ ძველს ტანისამოს კვერცხებზე, ქათმებზე და მიაქვთ სახლში, ეცმებათ მათაც ეს სენი და თაობა თაობაზე ესალმებიან წუთი-სოფელს. დღე არ გავა, რომ აქ ორი ან ერთი მიცვალებული არ გაიტანონ სასაფლაოზე. უფრო ბავშობა. კარგი იქნებოდა, თვით მოაგარაკენი არა კისრულობდნენ ავადმყოფის ნაცვამ ტანისამოსის გაყიდვას და მით ხელს არ უწყობდნენ სენის გავრცელებას რაღაცა გროშების სარგებლობისათვის. კარგი იქნებოდა ადმინისტრაციაც აქცევდეს ამისთანა მოქმედებას ჯეროვან ყურადღებას.

**კოტე ფახანაურელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი.** უკვე ჩამოვიდა რუსეთიდან ტფილისში კ. ფოცხვერაშვილი, რომელიც მაისის შუა რიცხვებში სათავად-აზნაურო თეატრში გამართავს კონცერტს თავის სამუსიკო თხზულებებიდან. რეპეტიციები ხოროსი უკვე დაიწყო დღეიდან თეატრის შენობაში.

**მომღერალი ელენე თარხნიშვილი.** როგორც „ნ. რ“. გადმოგვცემს, ერთ იტალიურ გაზეთში დაბეჭდილია თურმე: „პატივცემულმა ემმა დოტტიმ შეძლება მოგვცა მოგვესმინა თავის მოწაფის, ახალგაზრდა არტისტ-ქალის ელენე თარხნიშვილის სიმღერა. თარხნიშვილს მშვენიერი და სასიამოვნო ხმა აქვს, იგი გრძნობითა მღერის. ახალგაზრდა არტისტ-ქალს მომზადებული აქვს შემდეგი ოპერები: „ფაუსტი“, „რიგოლეტო“, „მანონი“, „დონ-პასკვალე“ და „ბალ-მასკარადი“. თარხნიშვილმა შეასრულა სხვა და სხვა ადგილები ზემოდ-დასახელებულ ოპერიდან და იმღერა არია „ტრავიატა“-დან. ახალგაზრდა მომღერალს დიდებული მომავალი მოელის“.

# შორეული აღმოსავლეთი

**მოვალეობის გმირის უკანასკნელი წამი.**

ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ში დაბეჭდილია მოხსენება იაპონელ ლეიტენანტის სუტომა საკუმასი, იაპონიის წყალქვეშ მოსიარულე ნავის № მე-6-ის უფროსისა, დაწერილი დაახლოვებით ერთის საათის წინ ამ ნავის დაღუპვამდე ხირაშიმას ნავთსადგურში ადღუმის დროს, როდესაც ნავში მყოფ მეზღვაურებისთვის ცხადი იყო, რომ მათ მოელოდათ მოწამებრივი სიკვდილი. ეს მოხსენება, რიგზე გახვეული წყალგაუვალ მატერიაში, იპოვეს ნავის კოშკში, როდესაც ჩაძირული ნავი ამოიღეს. მოხსენებაში შემდეგი სწერია:

დიდის მწუხარებით ვწერ ამ მოხსენებას, რათა შეგატყობინოთ, როგორ დაიღუპა ჩემი მიზეზით ეს ნავი და ჩემი ამხანაგები, აფიცრები და ჯარისკაცები.

თავდაპირველად მოგახსენებთ, რომ ჩვენ ყოველი ღონე ვიღონეთ ნავის მაღლა ამოსატანად, ყველა მეზღვაური ბეჯითად და იმავე დროს დინჯად მუშაობდა, როცა დავრწმუნდი, რომ ნავი მეტად სწრაფად იძირებოდა, ბძანება გავეცი, რომ ის მილები დაეხურათ, რომლების შემწეობითაც წყალი შემოდის ნავის რეზერვუარებში. საუბედუროდ, ის ჯაჭვი, რომლის შემწეობითაც მოქმედებენ მილები, უცებ გაწყდა; რეზერვუარები გაივსო წყლით და ნავი სწრაფად ჩაიძირა. როცა ზღვის ძირს დავედით, წყალმა თან და თან შეთანთქა ნავი. ელექტრონი ჩაქრა, გაზის მილები დასქდა, გაზი მოედვა მთელ ნავს და სუნთქვა გაგვიჭირდა. თუმცა ასეთს გაჭირვებაში ჩავცვივდით, მაინც ვცდილობდით დიდი რეზერვარიდან წყლის ამოქაჩვას. მგონია, რომ მოვახერხეთ კიდეც ეს, თუმცა ეხლა ვეღარას ვხედავ. უელექტრონოდ,— მხოლოდ ელექტრონს შეეძლო, ჩვენი აყვანა მაღლა,—ჩვენ დავიღუპენით. ბნელში ვწერ, სინათლე მარტო კოშკიდან-და ჩამოდის.

დილის 11 ს. 45 წ. უმოწყალესად ვსთხოვ იმპერატორს მაპატიოს და შემწეობა აღმოუჩინოს ოჯახებს ჩემის ამხანაგებისას, რომლებიც ამ წამსვე დაიღუპებიან. ეს არის ჩემი ერთადერთი ვედრება.

12 ს. 30 წ. ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდა სუნთქვა. სული გვიგუბდება, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ გაზი მთლად გამოუშვით რეზერვუარიდან. მეტი წერა აღარ შემიძლიან..

12 ს. 40 წ....

აქ მოხსენება სწყდება,

# ოსმალეთი

**ახალ სულთნის ტახტზე ასვლის წლის თავი.**

14 აპრილს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც ახალგაზდა ოსმალებმა აბდულ-ჰამიდი ჩამოაგდეს ტახტიდან და მის მაგივრად სულთანი მაჰმად მეხუთე აიყვანეს ტახტზე.

ერთ ოსმალელ დიპლომატს უთქვამს „რეჩ“-ის კორესპონდენტისთვის:

14 აპრილს მთელმა ოსმალეთმა დიდებული დღესასწაული გადაიხადა. თქვენ გინდათ, რომ ორიოდე სიტყვით, მოკლედ გიამბოთ, რა გაკეთდა ოსმალეთში ამ ერთ წელიწადში. თუმცა ეს მეტად ძნელია, რადგან მეტად ბევრი რამ გარიგდა ამ ერთ წელიწადში, მაგრამ მაინც ვეცდები თქვენი თხოვნა შევასრულო.

წარსული წელიწადი უშესანიშნავესი წელიწადი იყო ჩვენს ისტორიაში. ჩვენ დიდი, არა ადამიანური მეცადინეობა დაგვჭირდა იმის აღსადგენად, რაც აბდულ-ჰამიდმა დაანგრია. ერთ წელიწადში ოსმალეთი ისე შეიცვალა, რომ ველარც კი იცნობთ. მთელი ევროპა აღიარებს ჩვენის ფინანსთა სამინისტროსი და ჩვენის საფინანსო წესების რეორგანიზაციის დიად მნიშვნელობას. ეხლა ჩვენი ჯარი და მოხელეები თვე და თვე რიგზე იღებენ ჯამაგირს, რაც აბდულ-ჰამიდმა მთელი თავის მეფობის დროს ვერ მოახერხა. ჯარი შესაფერისად გავაუმჯობესეთ. შარშანდლამდე სტამბოლის პირველი კორპუსი არაფრად არა ღირდა. მაგრამ ეხლა, განუწყვეტელ შრომის შემდეგ, ეს პირველი კორპუსი ალბანიაში გაგზავნეს აჯანყებულთა დასამშვიდებლად.

ამ ერთ წელიწადში ოსმალეთის ჯარი შეიარაღდა ახალი იარაღით: ეხლა საუკეთესო თოფები და ზარბაზნები აქვს. მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები სულ ახალ-ახალი სისტემისა აქვს. დიდი ყურადღება მიაქციეს ჯარისკაცებისა, უნტერ-აფიცრებისა და აფიცრების სწავლასა და გაწრთვნას. გაიმართა ბევრი სამხედრო სკოლა, სადაც ინსტრუქტორებად მიიწვიეს გერმანელი აფიცრები. მთავარ-შტაბის აკადემია მოაწყეს გერმანიის აკადემიის მსგავსად. 500-ზე მეტი ოსმალელი აფიცერი გაიგზავნა გერმანიისა, საფრანგეთისა და ავსტრიის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში. ეხლა ქრისტიანებსაც იღებენ ჯარში

ყველა ქალაქებში დაწესდა თვითმმართველობა. იუსტიციის სამინისტრო, რომელმაც სამარცხვინო სახელი გაითქვა აბდულ-ჰამიდის დროს, მთლად ახალ წესზე მოაწყეს. საბაჟოების წესებიც შეიცვალა, მათ უფროსად დაინიშნა ინგლისელი კროფერდი და ამ ცვლილების წყალობით წარსულ წელს საბაჟოებიდან შემოვიდა 500,000 ოსმალური გირვანქა (1 ოსმ. გირვანქა 8 მ. 50 კ.) სრულიად ახალ წესზე მოაწყეს აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი.

პარლამენტი შეუსვენებლივ მუშაობდა. განიხილა საადგილ-მამულო საკითხი. პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც უადვილებს გლეხებს სამეურნეო იარაღების შეძენას. აშენდა 7 სამეურნეო სასწავლებელი. უკვე შეუდგნენ ვან-დიარბექირსივასის, ბანდერმა-რომასი და რადოსტო-მურატლის რკინის გზების ლიანდაგის გამოკვლევას. ამას გარდა, მეორე კორპუსის ჯარისკაცებმა ოსმალეთის საზღვარს ახლო ბევრი ახალი გზატკეცილი გაიყვანეს. წარსულ წელსვე გადააკეთეს და ახალ წესზე მოაწყეს აგრეთვე მრავალი საავადმყოფო.

ოსმალეთის მთავრობას საქმეს უჭირვებდა არეულობა იემენში, სადაც მოქმედებენ გაიძვერა რეაქციონერები, აბდულ-ჰამიდის საყვარელი მოღვაწეები. მაგალითად, აბდულ-ჰამიდის ადიუტანტად ნამყოფი იზეტ-ფაშა არა ჰზოგავს ფულსა, რომ მოსვენება არ მისცეს ახალ მთავრობას.

მთავრობამ ბეჯითი ღონისძიება მიიღო, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომმა ყველა ერებმა უკლებლივ შეასრულონ კანონი.

სულთანი მაჰმადი მეხუთე ყოველ საქმეში იცავდა კონსტიტუციას.

**ალბანია და ალბანელთა მოძრაობა.**

ცნობილმა რუსის მწერალმა ბ. ბოგუჩარსკიმ, რომელიც ამ ჟამად ბოლგარიის სატახტო ქალაქ სოფიაში იმყოფება, გაზ. „რეჩ“-ში დაბეჭდა საინტერესო წერილი ალბანიასა და ალბანელთა მოძრაობაზე. იგი ამტკიცებს, რომ ალბანიაში ნამდვილი ეროვნული მოძრაობაა და არა უბრალო რეაქციონური აჯანყებაო. ბოგუჩარსკი სწერს:

„მთელი ევროპის პრესსა დიდ ყურადღებას აქცევს ალბანელთა მოძრაობას და მოუთმენლად მოელის იქაურ ამბებს. უკანასკნელ დღეებში ოსმალეთის მთავრობამ ალბანელთა მოძრაობა მონათლა უციღობლად რეაქციონურ მოძრაობად, რომელიც გამოიწვიეს ორიოდე ანგარიშების მოყვარულმა ალბანელმა, რომლებსაც ოსმალეთის ახალმა წესწყობილებამ უსამართლო შემოსავალი მოუსპო, ხოლო ზოგიერთი სლავიანური გაზეთი ალბანელთა მოძრაობის პირდაპირ მიზეზად სთვლის ავსტრიას.

საჭიროა მოკლედ მაინც გავეცნათ ალბანიის წარსული და ეხლანდელი ცხოვრება, მით უმეტეს, რომ ალბანიაზე ევროპაში მეტად მცირე ლიტერატურა არსებობს; ჩვენ, რუსები, ხომ ამ ქვეყანას სულ არ ვიცნობთ. ხოლო ალბანია მეტად საინტერესოა როგორც მეცნიერებისა, ისე პოლიტიკის მხრივ.

მეცნიერ ფილოლოგების აზრით, ალბანელები არიან პირდაპირი ჩამომავალნი ერთ-ერთ უძველეს ტომისა, რომელნიც ოდესმე ცხოვრობდნენ ძველ საბერძნეთში; როგორც ჰფიქრობენ, მათი წინაპრები უფრო რომ პესასგები უნდა ყოფილიყვნენ; მათი ენა სრულიად არა ჰგავს არც ერთს ეხლანდელ ენას და დიდად საინტერესოა ფილოლოგებისთვის.

ალბანიის გეოგრაფიულ მდებარეობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი ჩრდილოეთით საზღვრავს—ჩერნოგორიასა და ბოსნიას (მაშასადამე ავსტრიას), სამხრეთით—საბერძნეთს, დასავლეთით—მას აკრავს ადრიატიკის ზღვა, ხოლო აღმოსავლეთით მაკედონია და ძველ სერბია, სადაც სლავიანები ცხოვრობენ. აქედან ცხადად ჩანს, რა ნაირნაირი ინტერესია გადახლართული ალბანიაში.

ალბანიის ხალხი თავის თავს ალბანელს როდი ეძახის. ამ სახელს

ვით, არ გვესუნთქა, რომ იმით ჩვენი იქ ყოფნა ერთმანეთისათვის არ გვეცნობებინა და ჩვენ პატარა, ქაბუკ სულს თავბრუ დამხვევი სიმყრალე არ ეგრძნო. ერთი საათის შემდეგ ამხანაგმა მითხრა:

— გასწი, წადი. . მეძინება?

ადგილიდან დაძვრა მეზარებოდა, მაგრამ წასვლა აუცილებელი იყო. შუა ღამე სრულდებოდა. ჩემი ძველი პალტო ჩავიცვი, ოთახის კარი გავიხურე და შუშაბანდი ისე გავიარე, რომ იმის ჭრიალა იატაკს ხმა არ ამოუღია. ქუჩის კარებთან შევჩერდი და ჩვეულებისამებრ შევძახე:

— კარი ჩაკეტეთ...

მინდოდა წინანდებურად დამეყვირა „დეიდო“ მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე. დეიდოს დიასახლისს ვეძახდით, რადგან ხანში შესული იყო. ჩემმა ხმამ ჩვეულებრივ არ იწკრიალა, პირიქით, ხმამ მოკლე და ჩქარის ტალღებით შუშაბანდში შეშინებულად გაირბინა და იქ, ბოლოში ჭერის კუთხეებსა და კარვანჯრის ბჯეებში მიიკუნჭა.

ნელა, ქურდულად გამოვიხურე კარები და გზას გავუდექი. საუცხოვო ღამე უნდა ყოფილიყო, რადგან მთვარე ანათებდა და ქუჩებში სიჩუმე იყო, მაგრამ ამ საუცხოვობას ვერ ვამჩნევდი; გულცარიელი, უხნოდ, უაზროდ დალრეჯილი, ზანტად მივაბიჯებდი. მხოლოდ ერთი რამ მსურდა: დროით დამეძინა, რომ აღარა მეგრძნო-რა, აღარაფერი დამენახა. ქუჩის ერთ კუთხეში წყნარად მოსაუბრე ქალვაჟი შემხვდა. ახლებში გამოწყობილიყვნენ, ეტყობოდა საადდგომოდ. ქალს ისეთი ტანისამოსი ეცვა, თითქოს იგი თეთრი იყო, მაგრამ გაზაფხულის ეს ლურჯი ჰაერი ვარდის წყალში აურევიათ და ასე შემზადებულ სალებავში შეუღებიათო. რაღაც წმინდა და სპეტაკად მომევლინა ერთად ყოფნა, ჩემდა უნებურად, მათ შორის მოვუარე და უფრო დამძიმებული, უფრო გულ-გასიებული გავუდექი გზას.

ჰაერი შეინძრა, ქალაქის ბოლოს ამართულმა კლდემ დაიგმინა და ზარბაზნის ძლიერმა ხმამ მძინარე ქუჩები შეაკრთო. ქვეყანა ახმაურდა. აქამდის ცარიელი ქუჩები ფეხის ხმამ და სიცილმა, მთვარის შუქის წკრიალის მსგავსმა სიცილმა გაადვიძა. ჰაერს ზარების ხმა ართობდა. ეს ხმა ერთ შორეულ სამრეკლოდან დაიწყო, ნელა და მხიარულად ააკანკალა ჰაერი და თითქოს ეს კანკალი მეორე საჭრეკლოს მოხვდაო, ისე გასძახა მეორემ მესამეს, მესამემ მეოთხეს და ყველა სამრეკლომ ქვეყანას „ქრისტე აღსდგა“ ახარა.

ჩემს პატარა სულს კი უმძიმდა, გონება ცარიელი იყო და საერთო სიხარულს ბანს ვერ აძლევდა. გამვლელნი ეხლა უფრო ხშირად მხვდებოდნენ, მხიარულნი, მოცინარნი, ახალ ტანისამოსით მორთულნი. ქუჩებში ჩერდებოდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ და ისევ მიდიოდნენ. და ყველაფერი ეს ჩემთვის აუტანელი იყო. მიკვირდა, რომ ადამიანები ასეთ საქმეს სჩადიოდნენ, მაგრამ რაკი პაჭუა აბოლებული ცხვირი მაგონდებოდა, ფიქრს თავს ვანებებდი და თავსა ვღუნავდი, ხოლო როცა მტვრიან ქუჩას დავცქეროდი, ჩემს ფეხებს ვხედავდი: ისინი თანაბარის სისწორით ისროდნენ, ხან ერთი გამოჰყობდა ცხვირს პალტოს ქვეშიდან, ხან მეორე, და მითი მოძრაობა მაგონებდა, რომ ცოცხალი ვიყავ და დავდიოდი...

ზარებს ისევ რეკავდნენ, ხალხი ისევ იძროდა და იცინოდა... მე კი გული მტკიოდა...

ქვეყანა ფლიდი იყო. **ი. ტ.**

ბალკანეთში მათ ეძახიან მარტო ბოლგარები; სერბები ალბანელებს ეძახიან—„არბანასებს", ბერძნები—„არვანიტებს", ოსმალები—„არნაუტებს". თითონ ალბანელები თავიანთ თავს ეძახიან „შკიპუტარს", რაც ალბანურად ჰნიშნავს „არწივს" და „შავარდენს". ჩრდილოეთი ალბანია დასახლებულია „გეგის" ტომით, სამხრეთი—„ტოსკის" ტომით; ამის დაკვალად ალბანურ ენაში ორი კილოა: „გეგური" და „ტოსკური". ალბანელების რიცხვი ადის დაახლოვებით 1,300,000 სულამდე. ამას გარდა დიდძალი ალბანელი ცხოვრობს საბერძნეთსა და სამხრეთ იტალიაში. ალბანელების ნახევარზე მეტი მუსულმანის სარწმუნოებას აღიარებს, ხოლო დანარჩენნი—ტოსკები მომეტებულ ნაწილად—მართლ-მადიდებელი ქრისტიანები არიან, გეგები—კათოლიკენი. ალბანელთა მომეტებული ნაწილი არ ეტანება განათლებულ ცხოვრებას: ისინი ცხოვრობენ მიუვალ მთებში და სრულიად გაუნათლებელნი არიან, მაგრამ შესანიშნავნი არიან მამაცობით და საოცარის პატიოსნებით.

მე-15 საუკუნის ნახევარში ალბანელთა განთქმულმა გმირმა, რომელსაც ალბანიაში თითქმის აღმერთებენ, გიორგი კასტრიოტმა, სახელწოდებულმა სკანდენბერად,*) ალბანია გაანთავისუფლა ოსმალთაგან და თავის ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუპოვა. ამ სახელით სარგებლობენ ეხლა ალბანიის აღორძინების საქადაგებლად; ამავე სახელის შემწეობით ორი კაცი თავს ალბანიის ტახტის მაძიებლად აცხადებს; ორივენი თავიანთ თავს გიორგი კასრიოტის ჩამომავლად აცხადებენ: ერთი მათგანი ცხოვრობს ბუხარესტში, რუმინიაში, ხოლო მეორე, როგორც ამბობენ, ყოფილი ესპანიელი სირაჯი კასტრიოტი ამ ჟამად მადრიდში ცხოვრობს იმ წამის მოლოდინში, როდესაც მას თავზე დაადგამენ ალბანიის მეფის გვირგვინს. ამ ესპანელმა კასტრიოტმა თურმე ვილაც ალბანელ ავანტიურისტის რჩევით, გამოაცხადა თავისი თავი კასტრიოტ-სკანდენბერგის ჩამომავლად, შეირთო ამერიკელ მილიონერის ქალი, თავის თავს დაარქვა დონ ალორდო-დი-კასტრიოტი, ის ალბანელი ავანტიურისტი, თავის „ფინანსთა მინისტრად" დანიშნა, ხოლო ერთი ამერიკელი გარეშე საქმეთა მინისტრად.

სკანდენბერის გარდაცვალების შემდეგ, ბევრი ალბანელი ფაშა აუჯანყდებოდა ხოლმე ოსმალეთს, ზოგი მათგანი იმარჯვებდა ხოლმე. ალბანია მაინც მუდამ ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა.

რუსნთ-ოსმალეთის 1877—1878 წლის ომის შემდეგ, ალბანია ისევ ოსმალეთის ხელში დარჩა. ამ ომის შემდეგ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაკედონიის საქმეს და რამდენადაც ვიცი, მაკედონელებს არავითარი შეთანხმება არა ჰქონიათ ალბანელებთან და ამ ორ ერს ერთად არა დროს არ უმოქმედნიათ. მით მაინც კულტურულ-ეროვნული მოძრაობა არა თუ მარტო დაიწყო, გაიზარდა და გამაგრდა კიდევაც".

(დასასრული იქნება)

*) სკანდერბერ-ისკანდერ-ბეი, ისკანდერი—ალექსანდრე—გმირი. ალექსანდრე მაკედონელის აქეთ აღმოსავლეთში ასე ეძახიან გმირებს.

# წერილი რედ. მიმართ

3 აპრილს ქუთაისში, ქალაქის თეატრში, გამართულ იქმნა წარმოდგენა სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებით, არქიელის გორის სამკითხველოს სასარგებლოდ, ქ-ნ ოლღა კონსტანტინეს ასულის თუთბერიძისთაოსნობით და სამკითხველოს კომიტეტის დახმარებით. საღამოს საინტერესო პროგრამამ და აგრეთვე მისმა სიმპატიურმა დანიშნულებამ თეატრში დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. მიუხედავად ადგილების მცირე ფასებისა, წმინდა შემოსავალი ორას მანეთს აღემატა, რაც დიდათ უნდა ჩაითვალოს, მეტადრე წრევანდელ სეზონში, როდესაც ბევრი ასეთი საქველმოქმედო საღამო დეფიციტით და ან უმნიშვნელო მოგებით დასრულდა. აღნიშნული თანხა დიდათ შეუწყობს ხელს სამკითხველოს კიდევ უკეთ მოწყობის და მოწესრიგების საქმეს.

სამკითხველოს გამგე კომიტეტი მოვალედ რაცხს თავს დიდი მადლობა გამოუცხადოს საღამოს დ'ასახლის ქ-ნ ოლღა კ. თუთბერიძისას იმ შრომა-გარჯისათვის, რომელიც მან გასწია საღამოს მოწყობისათვის; ულრმეს მადლობას უძღვნის იგი აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს უსასყიდლოდ საღამოში და მით ხელი შეუწყვეს კულტურულ დაწესებულების აღორძინების საქმეს, სახელდობრ: ქ-ნთ ა. რომანოვისას კვინტეტში მონაწილეობისთვის, ნ. მგელაძეს როიალზე დაკვრისათვის, ა. შარაბიძისას დუეტში მღერისათვის, ქ-ნ პეტროვას და ბ-ნ სტროგანოვს როიალზე და სკრიპკაზე დაკვრისთვის, ბ-ნთ გ. პოლშინს, პ. ტეპცოვს, ბ. ვინოგრადოვს და ლ. კარაგოზიანს კვინტეტის შესრულებისათვის, ახლად დაარსებულ ქართულ სიმღერების მოყვარულთა საზოგადოების მომღერალთა გუნდს და მის ლოტბარს მ. შარაბიძეს სხვა და სხვა ქართულ სიმღერის ასრულებისათვის; დ. მესხს ლექსების და სცენების წაკითხვისათვის, ვასილ ბალანჩივაძეს, გიორგი თუთბერიძეს და ა. მურუსიძეს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის და გალაკტიონ თუთბერიძეს დუეტის და სოლოს ასრულებისათვის.

თავმჯდომარე სამკითხველოს კომიტეტისა **რაჟ. კანდელაკი.**

(მცირე შენიშვნა).

„დროების" მე-270 ნომერში მოთავსებული მქონდა წერილი პეტერბურგიდან ქართველ სტუდენტობის შესახებ. ამ წერილში სხვათა შორის შევეხე ბ-ნ უ—ის საქმეს. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: ბ-ნ უ—ძეს (მაშინაც გვარი სრულათ არ მომიხსენებია და ამიტომ არც ეხლა ვიხსენიებ) ჰბრალდებოდა შარშან წინ ქართველ სტუდ. სათვისტომოს სასარგებლოდ გამართულ საღამოდან შემოსულ ფულის გაფლანგვა (82 მ. დაახლოვებით). ამ საქმის გამოსარკვევად ამორჩეული იყო ჯერ სარევიზიო კომისია და შემდეგ კი გამომძიებელი კომისია. სანამ კრებას მოხსენდებოდა ამ კომისიის აზრი, მე შემთხვევა მომეცა გავცნობოდი იმ მოხსენებას და გაზეთის საშუალებით გავკვრით შევეხე. მე ამ წერილში არ ვამტკიცებდი, რომ ბ-ნი უ—ძე მართლია ან მტყუანი მეთქი; და იმ შემთხვევაში, რომ კრებას ეს დაემტკიცებინა და აღმოჩენილიყო მართლაც ესეთი ბოროტ-მოქმედება, მე უფლება მქონდა ბ-ნ უ—ძის საქციელისათვის „ტარტაროზობა" მეწოდებინა. მაგრამ კრებამ უარჰყო **„განზრახვითი გაფლანგვა ფულისა"** და ბ-ნი უ—ძე გაამართლა. მე ვალდებულათ ვსთვლი ჩემს თავს ამის შემდეგ განვაცხადო, რომ ჩემი წერილი ნაჩქარები იყო და ბ-ნ უ—ძის მიმართ ნახმარი სიტყვები უკანვე მიმაქვს.

**შოთა დადიანი.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილი ინებეს და ფულით თუ წიგნებით დახმარება აღმოუჩინეს ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვემო სურების ახლად გახსნილ უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს: სია: იაკობ გოგებაშვილი—საბავშვო ჟურნალი **„ჯეჯილი"**; წიგნებით: მ. რაფიელ რამიშვილი (8 მ. 50 კ.) ონისიმე ივანეს ძე რამიშვილი (2 მ. 55 კ.), სეფე ერასტოს ძე რამიშვილი (75 კ.), სერგია ალექსანდრეს ძე რამიშვილი (1 მ. 30 კ.), ნიკიფორე შერმანდის ძე რამიშვილი (60 კ.), ფულად: ბახვის ორკლასიან სამინისტროს სკოლის მასწავლებელი ნოე მგელაძე (50 კ.), მღვ. სილიბისტრო ჩხაიძე (50 კ.), და მღვდელი ისაკი კეკელიძე (1 მ.)

ქვემო სურების უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოში ერთი თვის განმავლობაში პირველ მარტიდან პირველ აპრილამდის მკითხველი იყო 518. (მამაკაცი 406, ქალი 112). ამ ხნის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან გაიტანეს 138 წიგნი.

გამგე **სევასტი რამიშვილი.**

# განცხადებანი


ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

## ექიმი

ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—87)

## ბებია

ქალი სოფიო ილიას ასული გელხორდტ-ლოკიში რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლეკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—8)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოცევსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—37)

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში

## იყიდება

1. ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები . . . 25 კ.
2. ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები . . . 10 „
3. ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი . . . 25 „
4. ი. ჭავჭავაძე. ა[illegible] ისტორია . 35 „
5. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული . . 40 „
6. აკაკი. თორნიკე ერისთავი . 35 „
7. აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით . . 50 „
8. აკაკი. ქუთათლის სიზმარი . 5 „
9. აკაკი. ნაცარქექია . . 10 „
10. აკაკი. გოგია მეჩანგურე . 5 „
11. ნ. ბარათაშვილი. ლექსები . 5 „
12. ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი . . . . 5 „
13. ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა . . . . 5 „
14. ა. ყაზბეგი. ელისო . . 10 „
15. ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები . . . 50 „
16. კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. 6. ს. 40 „
17. ნ. მარრი история грузіи . 25 „
18. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება . 15 „
19. ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია . 40 „
20. ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია . . 60 „

**და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.**

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

## „ნაკადული"

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი"—ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და"—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

ქუთაისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს, რომ მდგომარე 1910 წლის 28 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეკრება იმ პირთა, რომელთაც სურთ იკისრონ ქალაქის გეგმის (პლანის) შედგენა. პირობების გაცნობა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10 დან ნაშუადღევის 2 საათამდი, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (5—6.—4)

## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—10)

## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ **„დროება"-ს კანტორაში:** დიდი ვანქის ქ., № 12. (0—12)

## გამოვიდა და იყიდება

ტფილისში, წ. კ. საზ. მერკვილაძის და გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართულ თეატრის მსახიობთადმი მათის სურათებით: **„ცოლი ვიტირო თუ ფული"**—მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, **„უმანკოის ბრალია"**,—გედევან გედევანოვისადმი,—**„ბედმა მილალატა"**,—ვასო აბაშიძისადმი, **„უშნო არშიყი"**, და სხვა. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25% გამორიცხვით. წიგნის ფასები 10—20 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი. (10—240—4)

## მიიღება ხელის მოწერა

ყველაზე იაფ ახალ ყოველ თვიურ სურათებიან, ლიტერატურულ და მეცნიერულ-პოპულიარულ ჟურნალზე

## „ისკრი ჟიზნი"

(ცხოვრების ნაპერწკლები)
(„ИСКРЫ ЖИЗНИ")

ლიტერატურულ განყოფილების გარდა, ჟურნალში იქნება განყოფილებანი: პედაგოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიური, ბიბლიოგრაფიული, ხელოვნება და პროვინციის ცხოვრება. დაიბეჭდება აგრეთვე პოპულიარული სამეცნიერო წერილები ცოდნის სხვა და სხვა დარგზე. მოთავსებული იქნება ანგარიშები და მიმოხილვანი ქალთა და მუშათა მოძრაობაზე, აგრეთვე კოოპერატიულ მოძრაობაზე რუსეთსა და საზღვარ-გარედ.

ჟურნალი დასურათებული იქნება ცნობილ მხატვართა სურათებით, თანამედროვე მოღვაწეთა პორტრეტებით, ყოველ მიმდინარე მოვლენის სურათით და სხვ. დამატებასავით ჟურნალს თან მიჰყვება ნოტები.

ჟურნალის რედაქციას აზრადა აქვს გამოსცეს სულ მცირე ფასიანი სერიოზული და საინტერესო ჟურნალი—საოჯახო, მოწაფეთათვის, შრომელ ინტელიგენციისა, გლეხებისა და მუშებისათვის.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ლიტერატორები, პუბლიცისტები, მეცნიერები და მხატვრები.

— ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი ს ფ ა ს ი —
75 კაპ. წელიწადში—12 წიგნზე 75 კაპ. გაგზავნით.

ხელის მოწერა წელიწადზე ნაკლებ ვადაზე არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება ჟურნალის რედაქციაში: С. Петербургъ Вас. остр., 5 линія, д. N 46, кв. 12. (3—1)

◀ ს რ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ▶

**მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე**

## „ფეხსაცმელების სახელოსნო"

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—**შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა,** აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით სუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას. ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

**პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.**

◀ ს რ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ▶ (25—6.—23)

**იბეჭდება და მალე გამოვა BATON-ის წიგნი**

## „ერი და კაცობრიობა"

დაბეჭდილია 300 გვერდზე მეტი. ვთხოვთ იმ აგენტებს, ვისაც გაეგზავნა საკვიტანციო წიგნაკები და ანგარიში ჯერ არ გაუსწორებია, გამოგზავნონ ფულიც და წიგნაკებიც.

ფული და წერილები შეიძლება გამოიგზავნოს „დროების" კანტორაში.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**
(5—5)

**ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი**

## მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(0—8) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

„სორაპნის" ამხანაგობის გამოცემა.

## ქართველი და უცხოელი მწერლები

**წიგნი მეხუთე**

◀ **მიიღება ხელის მოწერა** ▶

## გიუი-დე მოპასანის

თხზულებაზე.

წიგნი გამოვა ჩვეულებრივი ზომისა და ფორმატისა, მოთავსებული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფიული ცნობები. ამას გარდა წიგნის ტექსტი დასურათებული იქნება **დაახლოვებით 20 სურათამდე. წიგნი ხელის მომწერლებისათვის ეღირება 25 კაპეიკათ.** ცალკე გასასყიდად არ გამოვა.

ხელის მოწერა დაიწყება 10 აპრილს და გათავდება 10 მაისს. ხელის მოწერა მიიღება პროვინციაში ყველა აგენტებთან, ტფილისში—წერა-კითხვის მაღაზიაში, Нов. Рѣч. გოლ. პროსპ.—„ალიონის" წიგნის მაღაზიაში და „სორაპნის" სტამბაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით გამოიწეროს, მან უნდა გამოგზანოს 40 კაპ. მარკა.

ადრესი ფოსტის: Тифлисъ, Т—во „Сорапань". (8—4)

## დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ◆—
—◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

* * * ***ხელის მომწერთა საყურადღებოდ*** * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„დროების" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Д р о э б а", И. С. Агладзе.




რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.